სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
   ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.
3. პროგრამის მიზანი:
   პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ.
4. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის ოჯახები (პირები), რომლებსაც დაუზიანდათ ერთადერთი საცხოვრებელი სახლი (ბინა), სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.
5. ხანძრის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ვანის სახანძრო სამაშველო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.
6. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.
7. საჭიროების შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
8. ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარის, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით. დახმარების ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 მარტის N 20 370 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.
9. მოსალოდნელი შედეგები: ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური თანადგომა.
10. შეფასების კრიტერიუმი: პროგრამით მოსარგებლე ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.